ოქმი:**ო03.37222491**

თარიღი:**06/09/2022**

ოქმი № 19

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2022 წელი, 6 სექტემბერი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ:კომისიის წევრები: ე. გორდელაძე, ქ. ხომერიკი, მ. ვშალომიძე, გ. მდინარაძე, ს. ქარცივაძე, ბ. თოიძე, ბ. მელუა, გ. შარაშენიძე, ტ. არუშიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N 17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

2. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N28 განკარგულებაში ცვლოლებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა, ვრცლად ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებზე, აღნიშნა, რომ ბიუჯეტი იზრდება 3 873 833,16 ლარით, ზრდის წყარო ორია- საკუთარი შემოსავლები და მთავრობიდან გამოყოფილი თანხები. შემდეგ კონკრეტულად განიხილა ის პროგრამები, რომლებშიც გადანაწილდა თანხები. ამის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით. სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა ასევე ისაუბრა დღის წესრიგის მეორე საკითხზე, კომისიის წევრებმა მოიწონეს განკარგულების პროექტი და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ორივე პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი